სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/32

ქ. თბილისი 18 მარტი 2025

მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამისა
და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2025 წლის 14 მარტის საბჭოს სხდომის №11 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 მარტის №01-05-02/08ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“, ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**